www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

(2024 წლის II კვარტალი)

19.08.2024
www.geostat.ge

19.08.2024

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის II კვარტალი)

2024 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 431[1] გემი, რომელთა 33.2 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 33.2 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდი, 25.1 პროცენტი - კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 8.5 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2024 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 21.1 პროცენტით მეტი ნაყარი ტვირთმზიდი გემი მიიღო, 19.2 პროცენტით მეტი - თხევადი ტვირთმზიდი, 11.7 პროცენტით მეტი - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, კონტეინერმზიდი კი - 10.7 პროცენტით ნაკლები.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით

(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

19.08.2024

2024 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 17.9 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავდა, 15.3 პროცენტი - პანამის, 10.9 პროცენტი - მალტის, 9.3 პროცენტი - ლიბერიის, დანარჩნი 46.6 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



19.08.2024

2024 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 2.6 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 2-ჯერ მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი აღემატებოდა გასული მგზავრების წილს და 57.7 პროცენტი შეადგინა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



19.08.2024

2024 წლის II კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 4 234.9 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 11.9 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 44.2 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 33.9 პროცენტი - თხევადი ტვირთი, ხოლო 21.9 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge